



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაშაკიძე ლარისა კონსტანტინეს ასული

ვაშაკიძე ლარისა კონსტანტინეს ასული (დ. 6. I. 1935, თბილისი), სწავლული აგრონომი. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (2006), ბიოლ. მეცნ. კანდიდატი (1965). 1957 დაამთავრა საქართვე. სას.-სამ. ინ-ტი. 1958-იდან მუშაობდა საქართვე. მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. 1993-2003 იყო ციტოგენეტიკის ლაბორ. გამგე. 2006-იდან არის ვაზისა და ხეხილის გენოფონდის კვლევისა და გენეტიკა-სელექციის განც-ბის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი. ვ-ის შრომებში შესწავლილია ვაზის ადგილობრივი ჯიშები; მორფო, ციტოგენეტიკურად და ციტომბრიოლოგიურად გამოკვლეულია ქართ. გენოტიპები, ველური და გავლურებული ფორმები; შედგენილია ჯიშების იდენტიფიკაციის ტესტ-სისტემა; შემუშავებულია ფუნქციურად მდედრობითი ვაზისა და თვითსტერილური ხეხილის ჯიშებისათვის უკეთესი დამამტვრიანებლების შერჩევის მოდელი; შესწავლილია სასელექციო მასალის მიღების კანონზომიერებანი და სხვ. ვ-ის თანაავტორობით მიღებულია ვაზის 1 კლონი და ატმის 15 ინდუცირებული ფორმა. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა (მ. შ. 1 სახელმძღვანელო, 1 მონოგრაფია, 3 გამოგონება). დაჯილდოებულია აკად. ნ. ი. ვავილოვის მედლით (1987) და ღირსების ორდენით (2013).

თბზ.: ვაზის ქართული გენოტიპების იდენტიფიკაციისა და ზოგიერთი ფიტოტექნიკური ღონისძიების ოპტიმიზაციის მეცნიერული საფუძვლები, თბ., 2006.
